

სსრკ



N 21  
დემიბერი 1933  
ფანსი 405

# ნიუნები

ნან. ჯონინ



# უცხოელი ჩვენში

ნახ. ბუსირდგის.

## საოქტომბრო სიზმარი

მბრძანებელი ბრძანებდა:  
— მაშ ასე, ბატონებო! ხომ გეს-  
მით? ვიწყებთ საოქტომბრო მზადე-  
ბას! ხი, ხი ხი! — ხითბრებდა მბრძა-  
ნებელი....

— ვიწყებთ, ვიწყებთ, ხი, ხი, ხი! —  
ისმოდა ხრინწიანი ხმები მისი „ყურ  
მთქრილი“ მინისტრებისა და „მსხვილ  
ფენა“ მოხელეების, რომლებიც ნიშ-  
ნად თანხმობისა და ერთგულებისა  
მის წინაშე წელში იხრებოდნენ და  
იკეცებოდნენ.

ყველაფერი წინასწარ იყო მოფიქ-  
რებულ — განზომილ — განჭვრეტლი.

— დიდებული სანახაობა იქნება,  
დიდებული! — ამბობდა თავისთვის  
მბრძანებელი, რომელსაც წინ ასეთი  
სურათი ეხატებოდა: მის ქვეყანაში  
ოქტომბრის თექვსმეტი წლის თავს  
მილიონები ხვდებოდნენ მწუხარებით.  
ქუჩები და მოედნები გამოიყურებო-  
დნენ სევდიანი თვალებით.

სწორედ ამ დღეს მბრძანებელი  
გამოუტანდა თავის ქვეყნის კომუნის-  
ტური პარტიის ბელადებს სასაკუდ-  
ლო განაჩენს, რომლებსაც აბრალებ-  
და მისი სასახლისათვის ცეცხლის  
წაჭიდებას.

— დიდებული სანახაობა იქნება,  
დიდებული. — ერთხელ კიდევ გაუ-  
ფიქრდა მბრძანებელს თავში და ჩაე-  
ხა.



— ამ ხნის განმავლობაში ესენი როგორ გაიზარდნენ და გაძლიერდნენ,  
ხოლო ჩვენ კი — როგორ დავსუსტდით.

სასახლის დარბაზი ხალხით იყო  
გაქვდილი. ტრამუნაზე იდგა კომუ-  
ნისტური პარტიის ბელადი და აღუ-  
ნებულმა სიტყვებით მიმართადა პრო-  
ლეტარულ სასამართლოს:

— ამხანაგო მოსამართლენო!  
დღევანდელი დღე ჩვენი ქვეყნის  
ისტორიული დღეა. ხომ გეს-  
მით? ეს სიმღერაა მილიონებს,  
რომლებიც დღესასწაულობენ ოქ-  
ტომბრის რევოლუციის თექვსმეტი  
წლის თავს.

ყველა ქვეყნების ქალაქებში და  
სოფლებში მშრომელთა ზეიმი.  
ჩვენს ქვეყანაში კი ეს ზეიმი გაასკე-  
ცებულა. და ეს იმიტომ, რომ ჩვე-  
ნი ქვეყნის ოქტომბერი დღეიდან  
იწყება. ხომ ხედავთ ამათ? — და  
მან ხელი გაიშვირა მბრძანებელსა-  
კენ, რომელიც დარბაზის ერთ კუთ-  
ხეში იჯდა თავისი მინისტრებითა,

სწორედ იმ ადგილს, სადაც ერთ-  
დროს იჯდნენ ბორკილებში კომუ-  
ნისტური პარტიის ბელადები, რომ-  
ლებიც მბრძანებლის სასამართლომ  
სიკვდილით დასაჯა.

ორატორმა განაგრძო: ესენი არიან  
ის ბატონები, რომლებმაც ჩვენ სიკ-  
ვდილი მოგვისაჯეს....

— ამხანაგო მოსამართლენო.  
არა შურისძიების მიზნით, არა-  
მედ ქვეყნის ინტერესებისათვის მე  
მოვითხოვ ამათთვის სასტიკ სას-  
ჯელს... სასამართლომ სიღონა შეს-  
წყვიტა და განაჩენის გამოსატანად

დარბაზიდან მეორე ოთახში გავიდა.  
რამდენიმე წუთის შემდეგ დარბა-  
ზი ფეხზე ადგომით მიეგება სასამარ-  
თლოს, რომლის თავმჯდომარემ ხმა-  
მალა დაიწყო განაჩენის კითხვა..

— მიშველეთ! — დაიღრიალს  
მბრძანებელმა და იატაკზე ბრეგვა  
მოაძინა, რომელიც მთელი სხეუ-  
ლით კანკალებდა და ოფლში იწუ-  
რებოდა....

— ნუ თუ სიზმარი! — წამოიძა-  
ხა მან და შტერივით თვალი მიმოა-  
ვლო თავის საწოლ ოთახს.

სიზმარი.

# არიან ორნი, ჰასაკით სწორნი მიღიან გზაზე, პღერენ ამ ჰანგზე:



როგორც ორი წვეთი წყალი!  
თუმც ამ დღესვე ჩემი შობა  
ყველას, ყველას, ყველას ამცნეს,  
მაგრამ მათ მე არ მიკადრეს,  
ყბად ამიღეს, კაცად არ მცნეს!  
მათ სურვილის წინააღმდეგ  
გავზარდე, დავვაჟაკდი,  
ბევრი ქირო განვიცადე,  
მაგრამ ყოველ საფრთხეს ავსციდი!  
ესლა, როცა მე ამ ქვეყნად  
მოვიკიდი ფეხი მტკიცედ,  
ქველა შეამავალს მოგზაუნის,  
როი გაუხდეს მე მას სიძედ!  
ალარ ვიცი, — დავაღწიო  
ამ შეამავლებს თავი მე სით,  
რადგან სურთ, რომ დავაწერო  
ჯვარი ესლა ძვილი წესით!  
რადგან სხვა სასიძოსავით  
მე არ ვითხოვ მათგან მზითევს,  
შეამავალი ჩერჩეტ თავით  
თვით ყალიბზე მიმიითებს!  
მაგრამ მე რა მენადლევა,  
დეე, მათ იყალთაბანდონ!  
სრულებით არ მეჩქარება, —  
დრო გაუშვან დაბანდონ!  
მანამდის კი ვინმე ქალი,  
რომელიმე ქვეყნის- თვალი  
საბჭოების მოქალაქე,  
სულ უმანკო და ულაქო,  
ვისაცა აქვს ჩემი ტრფობა,  
ის ცოლათაც გამოყვება.



თექვსმეტი წლის ქაბუკი ვარ,  
ალარ ვგვევარ მე უსუსურს,  
სახელიც ვაუკაცის მქვიან:  
მეძახიან ეს-ეს-ეს-ერს!  
ომის ცეცხლში დავიბადე,  
სიყრმე მქონდა მეტად მკაცრი,  
ჩემს მეზობლებს გულით სურდათ  
შემმთხვევოდა რამე მარცხი!  
მამა პროლეტარი მყავდა,  
დედა - ღარიბ გლეხის ქალი,  
ორივე ურთიერთს ისე ჰგავდენ,

თექვსმეტი წალი,  
მდაგველი, მწველი,  
არ მყავდა მცველი,  
არც აწი ველი!  
ალთ რომ ვიწვი,  
ვით ხმელი წიწვი,  
რა ვქნა, არ ვიცი,  
გაქრა სიმტკიცე!  
თავს ცა დამეცა,  
ცოლი გამექცა,  
შვილს ელდა ეცა,  
სულს ვლაფავ მეცა!

თაო, ბედშო,  
რა დააშავე,  
რომ ასე შავი  
დღე გიღვას ავი!  
ვაიმე, დედავ,  
თქმას გაგბედავ:  
რატომ დამბადე,  
ასე უბედო!  
შენ ის გერჩია,  
ქვა რომ გეთრია,  
ის გამოგვედო,  
მე დაგეზოგე!

ჩქარა თოკი, თოკი ჩქარა!  
შეიშალა მგონი გონზე,  
საგიუეთში წაიყვანეთ  
მომამოორეთ ჩქარა, დროზე.

გონს მოვედი და ფანჯრიდან  
გავიხედე ფრთხილად ნელა,  
და რა ვნახე: საზეიმოდ,  
გამოსულა ვარეთ ყველა.  
, მიშა კალმოსანნიძე



გუშინ დამით ვაკითხვი  
და მკითხავმა გამახარა:  
— ბოლშევიზმის აღსასრული  
უნდა დადგეს დღეს ან ხვალა!  
დავიძინე-მეორედლით  
ძველებური დადგა ხანა.  
(მენშევიკებს დაპირება  
სისრულეში მოეყვანათ).

ვას, რა ზორბად გამეხარდა  
მე ამათი გაძევება.  
ვთქვე პასპორტს ხომ გადაურჩი  
სანატრელი ხანა დგება.

გადაურჩი კომკავშირულ  
მაგარ მუშტის მაგარ დარტყმას  
მინისტრებად დასანიშნი.  
„ოჩერედში“ ხალხი მზად მყავს.

კრუგომ კეთილმოზობლები  
მეხვევიან და უეცრად,  
ბურთაობით ყველამ ერთად  
შემისროლეს მალდა ზეცას.

ასე დიდხანს მამურთავეს  
არის ერთი ურიაშული,  
მეც ვიცანი, მაგრამ დახე,  
სხვანაირად მიცემს გული.

ერთი კიდევ შემისროლეს,  
ვეუბნები ხალხო „ტიშე“,  
მომეცალენ ყველა ერთად  
იატაკზე თავი ვთხლიშე.

წამოვარდი ზეზე მყისვე  
დავერიე ყველას კრივით...  
გამედვიძა და რა ვნახე  
ჩემი ცოლი ასე ყვირის:



# საოქტომბრო კატაკი

# საჩუქარი

მოგესალმები, ნიანგო, მომაქვს ოქტომბრის ბარაქა — მშრომელთა კეთილდღეობა ვით სოფლად, ისე ქალაქად. გმირთ-გმირთა გამარჯვებანი, ყველგან სათქმელნი არაკად, შფოთი და შეხლა-შემოხლა ჩვენს მიღმა-მტერთა ბანაკად.

ვისაც მოუტლავს ის მოჰკლავს, ნადირსა შავი ტყისასა, დიად ოქტომბერს გილოცავ, ოქტომბერს თექვსმეტ წლისასა, მშრომელთა მხსნელსა მესიას, მესხს, რისხვას—შავი მტრისასა, და თან პატაკად მოგართმევ ამბებსა ევროპისასა.

ერთა ლივიდან დავიწყებ, თუმც არ ვართ მისი სანი, მისსა შუქებას არ უნდა ოსტატი—დიდი მგოსანი, კუდის რიკამდე გაიხრწნა ეს გვამი „პატიოსანი“, დაიმსხვრა მისი იმედი, როგორც უფსკერო ქოთანნი.

უღვწერტირეს წვერებმა, ბევრი წავიდა თავისად; ნიშნები არის არც ერთი არ ეყოლება გაისად; თავმჯდომარე და მდივანი ველარ არიან ხალისად — დარჩენილთ ეხვეწებიან: „ხალხნო, თქვენ მაინც დაიცაო“.

იაპონია გაიქცა, ჩინეთი ვადიცუნცულა, მას მიჰყვა გერმანიიდან ჰილტერი ენა-ქყურტულა, (არ ვამბობ ვინ ვის რა უთხრა, ვინ ვის რა გადუქურჩულა) ასე თანდათან ხვავდება ეს მოლაყბეთა ხუხულა.

საერთოდ კაპიტალისტებს ერთი რამე აქვს საქები, ერთმანეთს კარგად იცნობენ ფართო გზის ავაზაკები, მიტომაც მომზადებულნი უპყრიათ იარაღები, ქვემეხი, ტყვიამფრქვეველი, ტანკა, ფლოტი და ნაღმები.

ყველას შიში აქვს შემჯდარი, დაწყებული აქვთ თვალები, ძლიერი სუსტებს უბღვერის, სურს რომ ჩასჭიდოს ბრჭყალები, მაგრამ მეტოქეს რა უყოს, იმასაც მზად ყავს ძალები, ხელსაყრელ მომენტს უტედიან ყველა ეს მაწანწალები

### იაპონია თავხედობს, ვით მეტიჩარა მამალი,

ჩინეთს ნამუსი ახადა, ახლა გეგმა აქვს ახალი — უნდა რკინის გზა ხელთ იგდოს ა მოსავლეთით მავალი, მაგრამ ხელს უშლის ამაში მას დაბრკოლება მრავალი.

პირველი დაბრკოლებაა, საბჭოთა მუშტი მაგარი, მეორე ამერიკაა — კოლონიების მაყარი.

გვემებს ის შეასრულებდა, მტერი რომ ჰყავდეს საპყარი, უკანასკნელი ამბებით გულზეა შემონაყარი.

ამერიკამ რომ მოგვეწერა — გვინდაო თქვენთან ბაასი, კეთილი განწყობილება, და მეგობრობა ხალასი, — ამან გუნება შესცვალა ამ ჩვენი მეტიჩარასი

პერსპექტივები შეუქმნა მრავალი ხათაბალასი...

### გერმანია ხომ არ ხუმრობს,—მას ოლქი უნდა საარის,

საფრანგეთს კიდევ სხვა უნდა, მისი განზრახვა სხვა არის, მართალი არის, შიში აქვს იმას ჰიტლერის ხარხარის; თავის იმედი თუ არ აქვს, იმედი ხომ აქვს დამხმარის!

ასეა მტერთა ბანაკში — შური და მტრობა ტრიალებს, კაპიტალიზმი სულს ლაფავს და სიკვდილის წინ ღრიალებს. გაუმაძღრობამ გონება წაართვა ოხერ ტიალებს

საერთო ფრონტი ვერ ჰპოვეს, ყველა თავისთვის წრიალებს.

მალე დარეკავს ჟამი და იქ მეხი დივირიალებს.

მუშათა კლასი აღზდგება, მტერს რისხვას დაუტრიალებს, ყველას ღირსეულს მიუზღავს — კაცობრიობის ფირალებს,

4 ოქტომბრის დროშას გაშლის და მსოფლიოს ააფრიალებს.

სემეირ-ბენ-შეიხ

დაიწყო ნოემბერი და ვიგრძენი ზამთარი. საჭირო ვახდა საზამთროდ მოწყობა. და მეც მოვეწყვე.

დიდის გაჭირვებით ავიღე შევებულების მაგიერ კომპენსაცია და შემოვიარე სახვაჭრობის დუქნები. როგორ ვინდა. იყილო რამე. ჩემდღ დუქანშიც არ შეხვალ, საესეა ქალებით. ნოქრები ისე დაღლილან ქალებთან ჩხუბში, ისე აშლიათ ძარღვები, რომ მათთან ლაპარაკს სჯობია იანვარში ჩითის ხალათით იარო. საქონლის ამორჩევის და ვაჭრობის არც დრო იყო და არც ხალისი. სანამ მე სალა-როში ფულს ვიხდიდი, ნოქრები ნაყიდ საქონელს მიხვევდნენ.

გახარებული მივედი სახლში, მარ თალია ცოლისათვის არაფერი მიყი-დია, მაგრამ იგი მაინც მხიარული დამხვდა:

— ნეტავი შენი თავი მანახავა ადამიანურად ჩაცმული და ჩემს თავს რას დავეძებო...

დავიწყეთ ნაეჭრის გახსნა, მაგრამ ნეტავ არ გამეხსნა.

ერთ ფესხაცმელს ქუსლი აქვს ავა რდნილი. მეორეს ვერშოკიანი „რანტი“ აქვს. ცალი მოშავოა, და ცალი ქლელი ფერისაა.

ფესხაცმიოებმა გული მომიკლა, მაგრამ შარვალმა სულ დამანაშარა. ცალი ტოტი ზოლებიანი აღმოჩნდა, და ცალიც კადრაკის დაფას მოგავონებდათ. ზოლებიანი ტოტი ნამდვილი ჩარლსტონის მოდაზე იყო შეკერილი.

ტყავისა და სამკერვალო ტრესტის ფაფრიკებს არც „სატრიკოტაჟო წარმოებამ“ უღალატა. ჩემს მიერ ნაყიდ „სვიტრს“ ცალი სახელო აკლდაა.


დავკარგე შევებულება. დავკარგე შევებულების ფული. დავრჩი ზამთარში ფიზკულტურულად გამოწყობილი.

მთელი ღამე არ მძინებია. ვფიქრობდი და მოვიფიქრე კიდევ.

ჯერ ერთი: სავაჭროდ დუქანში არასოდეს არ წავალ, დეე; ცოლმა იბრძოლოს ხარისხისათვის.

მეორე: ფესხაცმიებს, შარვალსა და „სვიტრს“ უზგანნი მის შემკერავ ფაბრიკების მუშებს. დეე, ჩემი შევებულების კონპენსაცია მათი საოქტომბრო საჩუქარი იყოს. ვინძლო სინდისში ჩავარდნ და გამოიცივლონ.

გ.რ. ბათოშელი



ნახ: ლ. გუდიაშვილის.

კულაკი: — რომ ვეპირდებოდით — მალე დავბრუნდებითო, ეს არის თქვენი დაბრუნება?  
მეზობრანტი: — ჩვენა რა ბრალია! განა ჩვენ არ გვინდა? მაგრამ ვერა ხედავ საზღვარი როგორ შეკრულია!

# და იქნება რაც არის...

იყო ბიჭი კერენსკი,  
ბონაპარტეს პოზითა  
„პოეტური“ ოცნება  
დაამთავრა პროზითა.  
გამხდარიყო უნდოდა  
ქვეყნის მეფე „ცხებული“  
დღეს კი იფხანს  
რბილ ადგილს  
პანლურ ამოცხებული.  
იყო მარჯვენა ხელი  
მისი კორნილოვი და  
იქითკენ მიაბრძანეს,  
საიდანაც მოვიდა.  
წამოვიდა კოლჩაკი  
მანჯურის მხარიდან  
მაგრამ არც ის ამღერეს  
— „დინ-დარიდან - დარიდან“...  
მის „მიღწევით“ კალედინს  
შურით გული დაეწვა:  
ვერც ვერაფერს ის გახდა  
კულის რიკი აეწვა...  
იყო ვინმე კრასნოვი  
ზიზილ - პიპილიანი  
მანაც ხმალი აიღო

... და სვანია...  
დენიკინმა აპრიხა  
მუჭარით უღვაშები  
და შეკრიბა „სარდალმა“  
ბურჟუების „ბავშვები“.  
ყირიმს, დონს, უკრაინას,  
მოსკოვისკენ იწვედა,  
ზრახვა ქონდა ავი მას.  
აროილსაც მიაღვა,  
თვალწინ კრემლის კედლები  
წარმოუდგა და თრთოლვით  
აცახცახდენ მენდლები  
აცახცახდენ მენდლები  
მეფისაგან ნაბოძები:  
ამართება მის თვალწინ  
მეფისაგან ნაბოძები:  
თვითონ ჯდება იმ ტახტზე  
როგორც მეფე მპყრობელი  
და ოსანას უმღერის  
„ხალხი“ მის მადლობელი.  
ამ ზღვამ ზიდა ვრანგელიც  
ისიც იყო ცნობილი.  
ნიკოს კრედიტორთაგან  
საომრად გაწყობილი.

მაგრამ გაქრა სიზმარი  
კოვზი ხელით გავარდა  
და გონს მამინ მოვიდა,  
შავ ზღვაში რომ ჩავარდა.  
ვერც მან, ვერც დენიკინმა  
ზღვისკენ თავი წაიღეს  
ვერაფერი გააწყვეს  
აქ „პრიპასი“ დააწყვეს.  
იყო იუდენიჩი  
მამანტოვიც, სვანიცა  
იყო გაპალურება  
მოწმეა ცა და მიწა. —  
არის მძლეოთა მძლეველი  
ქვეყანა საბჭოების,  
საბჭოების ტრაქტორი,  
საბჭოთა ავტოები,  
საბჭოების დიზელი,  
საბჭოთა ტურბინები,  
გიგანტები - ქარხნები, —  
ჩამოთვალე, — ინებე!  
არის დიდი მიზანი  
უძლევე ძალთა მომბერი  
და იქნება, რაც არის —  
მსოფლიო ოქტომბერი. მ-ზა.

## ახალი შემოქმედელი

კარგა ხნის წინად (იქნება ალბად  
რამდენიმე მილიონი წელი), რო-  
გორც „ძველი ალთქმის“ ავტორი  
მოგვიტხოვრობს, უფალმა გააჩინა სამ-  
ყარო.  
ავტორი ამტკიცებს, რომ მთელი  
მშენებლობა დამთავრდა სულ მოკ-  
ლე ვადაში—რაღაც ექვს დღეში.  
კეშმარიტად სარეკორდო ციფრია!  
ავტორი არაფერს ამბობს იმის შე-  
სახებ, თუ სად იშოვა უფალმა ამ-  
დენი საშენი მასალა, გამოყენებუ-  
ლი იყო თუ არა მექანიზაცია, სამე-  
ურნეო ანგარიში და სხვ. მაგრამ  
ფაქტი ფაქტია: ქვეყნის გაჩენას რო-  
გორც ყველამ იცის, უკვე აქვს ად-  
გილი.  
მაგრამ სადმშენებლო საქმეში  
ხშირად კურორტები ხდება. მშენე-  
ბელი ზოგ რაიმეს ისეთს უმატებს  
ხოლომე შენობას (იხ. ტრამვაელთა სა-  
ნლის ფასადები), რაც შემდგომ სინა-  
ნულისა და კბილთა ღრქენას იწ-  
ვევს. ასე მოუვიდა უფალსაც: მან  
გააჩინა ადამიც.  
გავიდა კინაღამ ორი ათასი წე-  
ლიწადი (83 წლით ნაკლები). გაჩხ-  
და სულ სხვანაირი შემოქმედი,  
ახელ-დახელა უფლის გაჩენილ ქვე-  
ყანას და დაიწუნა:

და ეს ახალი შემოქმედი შეუღ-  
და ქვეყნის გადაკეთებას (ერთ მეექ-  
ვსედ ნაწილზე).  
საჭირო შეიქმნა ძველის დანგრე-  
ვა (ასე ხდება ხოლომე. იხილე ბალ-  
ნეოლოგიური კურორტის ადგილი  
ტფილისში) და ახლის აშენება (ნუ  
იხილავ იმავე კურორტს), მაგრამ  
რადგან ქვეყნად დიდათ ბნელოდა,  
ამიტომ:  
— საჭიროა სინათლე, იყავნ სინა-  
თლე!—თქვა მან და ააშენა ვოლ-  
ხოვის ჰიდროსადგური. ამის შემდეგ  
შეუდგა და რაც კი რამ დანგრეუ-  
ლი და გაცვეთილი იყო, ყველაფე-  
რი აღადგინა და აამუშავა.  
— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ  
ქვეყანა უნდა გადავახალისოთ,—  
ამბობდა იხი და ყველაფერს სინჯა-  
ვდა, ამოწმებდა:  
— დაანებე თავი, ხომ გაგიგონია  
„რაც არ ეცვას მზამაშენსა, ნურც  
შენ დახვე მარამაშებსო“ ეუბნებო-  
დენ მას ზოგიერთები.  
მან არავის დაუჯერა, ბევრი მი-  
ბეგვა, კიდევ და შეუდგა ქვეყნის  
გადაკეთებას. ეს იყო თითქმის  
ხელოვანი შექმნა.  
ჟამი განხლდა. და ქვეყნად გაჩნდა  
კოლექტივი.  
ამასობაში მამა-აბრამებმა (იკით-

ხე: კულაკებმა) ხელი მოუსვეს ბატ-  
კებს და ჟღერა დაუწყეს. მან და-  
უყოვნებლივ კონფისკაცია უყო ბატ-  
კანსა და სხვა პირუტყვს, რომლე-  
ბიც საბჭოთა და კოლმეურნეობებს  
გადასცა.  
— იყავნ მაგნიტოვროსკი!—თქვა  
მან და ალაშენა მაგნიტოვროსკი.  
— იყავნ კუზნეცკსტროი!—თქვა  
მან და ალაშენა კუზნეცკსტროი.  
— იყავნ სოციალისტური სოფე-  
ლი!—თქვა მან და გაშალა საკოლ-  
მეურნეო მშენებლობა.  
— აი, ახლა კი დროა,—თქვა მან  
და სოციალისტური ეკონომიკის და-  
მთავრებულ საძირკველზე შეუდგა  
უკლასო სოციალისტური სა-  
ზოგადოების კედლების ამოყვანას.  
„ძველი ალთქმის“ ავტორი ამ-  
ბობს, რომ მეშვიდე დღეს, უფალმა,  
აქაო და გამოსასვლელი დღეაო, ჯი-  
ბეებში ხელები ჩაიწყო, ყალიონი  
გააბოლა და გაიხირონა. საით გაი-  
სეირნა, ავტორმაც არ იცის. ფაქტია  
რომ მას შემდეგ იგი არავის უნა-  
ხავს.  
ეს ახალი შემოქმედი კი, რომ-  
ლის სახელი არის ახ სამოცი მილი-  
ონი, ყოველ მეექვსე დღეს სეირ-  
ნობს და კვლავ უბრუნდება მუშაო-  
ბას.  
აღლარ-აღლარსან



# ბერლის სასამართლო

(მართლის მსგავსი ამბავი)

დიდ ხანს ვიმაგრე თავი, მაგრამ მაინც წამთვლიმა და ბურანში ვავეხვიე.  
არ ვიცი რამდენმა ხანმა განვლო, რომ ჩემ ყურს უცებ მოესმა თავ-მჯდომარის შეკითხვა:

— მაშ ვერე, მოქ. ჩიორავ, არ გინდათ გამორყდეთ, რომ რეისტაგის დაწესაში მონაწილეობას იღებდით?

შეშინებულმა მივიხედ - მოვიხედე: ჩემს გვერდზე მარჯვნივ ისდნენ დიმატროვი და ტორგული, მარჯვნივ — პაპოვი და ტანევი. ამ ოთხ ბრალდებულს შუა მოექცეულყავ და გარს ხმალამოღებული დარაჯები გვედგნენ.

— მე... მე... დავიწყე გაოცებულმა, ბატონო თავმჯდომარე, როდესაც რეისტაგი იწოდა იმ ღამეს მე ტფილისში ვიყავი და კლინიკაში კბილებს ვაკეთებინებდი.

ამითი მინდოდა ჩემი ალიბი დამემტკიცებინა.

— მაგას მნიშვნელობა არა აქვს, — განაცხადა თავმჯდომარემ: თქვენ როდესაც გაგჩხრიკეს, ბოლშევიკების პარტიის ბილეთი გიბოვნეს და აშკარაა თქვენც მოწადინებული იქნებოდით რეისტაგის დაწესა.

— მე რომ ჯიბეში წოგნაკი მიბოვნეს ის პარტიის ბილეთი — კი არა, რუსთაველის თეატრის აბონემენტი იყო, მე წვერი ვარ კავშირისა...

— ეგ სულ ერთია, — გამაწყვეტინა თავმჯდომარემ: ნუ მეკამათებთ, თორემ გარედ ვაგავდებთ, თუ კავშირის წვერი ხართ, ბოლშევიკი იქნებით და უეჭველია რეისტაგის დაწვის მონაწილეც.

— მიიღეთ თუ არა მონაწილეობა ტფილისის ტაძრის დაწვებაში, — შეშეკითხა პროკურორი.

— არავითარი.  
— ჩვენ მოწმე ვეყავს, რომელიც ამტკიცებს, რომ თქვენ უნახინართ იმ ტაძრის ახლოს.

— შესაძლებელია იმ ადგილას ყველა დადის და ერთხელ, როდესაც ამ ტაძარს ანგრევდენ, ერთი აგური შუა ქუჩაზე გადმოვარდნილიყო, ფეხი წამოგვარ და კინაღამ წაეჭეცო, დაეწვდა, ის აგური ავიღე და სხვა აგურებისაკენ გადავისროლე.

— კმარა მაშასადამე აღიარებთ სიტყვა თავმჯდომარემ რომ ტაძრის დაწვებაში მონაწილეობა მიგიღიათ:

ჩაწყურეთ ეს გარემოება ოქმში, — მიუბრუნდა სასამართლოს მდივანს

და განაგრძო. — ხელმოკრედ გვეკითხებით, იყავით თუ არა ვან-დერ-ლუბესთან ერთად რეისტაგში ცეცხლის გაჩენამდე?

— არა ვყოფილვარ და ვერც ვიქნებოდი, რადგან...

— ჩუმად, გამაწყვეტინა თავმჯდომარემ.

შემდეგ დაჰკითხეს ერთ მოწმეს ცეცხლისმქრობელ რაზმის წევრს, რომელმაც განაცხადა, რომ მე დავინახე, როცა რეისტაგის ფანჯარაში ორი კაცი მიძვრებოდა ერთი ვან-დერ-ლუბე იყო და მეორე — კი ზურგიითა და ჩემის ქუსლებით, სახე არ დამინახავს, ამ კაცს (ე. ი. — მე) ჰგავდაო.

— ჰკითხეთ ერთი მოწმეს, — შევძახე გაბრაზებულმა: ყელიანი ჩექმები მეცა თუ უყელო?

— დაჩუმიდით, შემაჩერა თავმჯდომარემ: აქ ქუსლებს აქვს მნიშვნელობა და არა ჩექმის ყელებს. მაშააღამე დამტკიცებულა, რომ ცეცხლის გაჩენამდე თქვენ ვან-დერ-ლუბესთან ერთად რეისტაგში შემძვრალხართ!

შემდეგ ვან-დერ-ლუბეს შეეკითხა შემოძვრა თუ არა თქვენთან ერთად ესეც რეისტაგში?

— მე მაგ კაცს პირველად ვხედავ უბასუხა ვან-დერ-ლუბემ და

არ ვიცი, შეიძლება შემოძვრა კიდეცო.

შემდეგ დაჰკითხეს მეორე მოწმეს, საკონცენტრაციო ბანაკიდან მოყვანილს, რომელმაც დაადასტურა, ჩიორას მსგავსი კაცი დავინახე იმ დღეს რეისტაგის ახლოსაო.

თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ ჩემი საქმე ცუდად მიდიოდა, ჩემ გვერდით მჯდომმა დიმატროვმა და პაპოვმა ჩემგან შორს გაიწიეს.

მინდოდა ამ მოწმეთა ჩვენების წინააღმდეგ საშინელი პროტესტი განმეცხადებინა, მაგრამ აღარ დამცალდა, უცებ თავმჯდომარემ განმოაცხადა:

— სასამართლო გადის განაჩენის გამოსატანადაო.

რამდენისამე წუთის შემდეგ სასამართლომ განაჩენი გამოიტანა, რომ ლითაც მე, ჩიორას, დააწყვეტილი მქონდა რეისტაგის დაწვისათვის ეროვნულ იარაღით — გერმანული ცულით თავის წარკვეთა...

მეტი ვეღარა გავიგონე რა, ქირის ოფლმა დამასხა და შიშისაგან გამომეღვიძა. ფეთიანივით ფეხზე წამოვარდი. მივიხედ - მოვიხედე და დავრწმუნდი, რომ ქ. ტფილისში, ჩემ ოთახში ტახტზე მწოლიარეს გახ. „კომუნისტის“ კითხვაში ჩამძინებოდა.

კარგი კიდეც, რომ სიზმარი იყო თორემ გერმანიის სასამართლოს მართლაც დაუსჯელი ვერ გადავურჩებოდი... ჩიორა.

ნახ. ქოქიაშვილის.



— შვილო, შადი და ეგ ფურცელიც აახიე, თორემ მაშას ვაეღვიძება და ვაი თუ შარშანდელივით გული შეუწუხდეს!

გულდათუთაშვილი ქრისტე, დაწმენაბეული მარიამ-ღმთისმშობელი, გულმკლული მიქელ-გაბრიელ, გაუბეღრაგაუზი წმინდანები და ანგელოსები და თავ-ზარდათმეფული გოგის პაპი და სამღვდლოვან იურყმ-პიან, რომ თეძვსებით წეს ხანგრძლივი და მძიმეპაღმტოვრის შემდეგ გარდაიცვალა



# ღმერთი ყოველისა მკაცრობელი. შემოგმომელი ცათა და ქვეყანათა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა

გამოსვენება უაბტრონოთა თავშესაზარისად. ქამაძია 5 საათზე. მოკრძეული დასწავება სავალდებულოა. შესვლა თავისუფალია და უფასო.

ნა. თ. შერლინგის



## გიორგარაზიული ცნობები

განსვენებულნი დაიბადა პირველყოფილი აღმზარის თავში. შთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში მან გასწავლა ათასეული საუკუნეები, მოიცვალა მილიონზე მეტი თაობა, მაგრამ თავს მაინც ყოჩაღად გრძნობდა და განაგრძობდა თავის პირველ ბინაში (აღმზარის თავში) ცხოვრებას.

როგორც კეთილ მესაკუთრე იგი ყველაზე მდიდარი იყო: მას ეკუთვნოდა შთელი სამყარო, რა-

ცა პირტო ყოფნა მოსწყინდა და საჭმე არაფერი ჰქონდა, თავის შესაკეცედ ადგა და რაღაც ექვსი დღის განმავლობაში გაიანა ქვეყანა.

განსვენებულნი ყოველთვის აქტიური მონაწილეობას იღებდა ყველა ომებში და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ოქტომბრის რევოლუციის ჭარბშაზამა მოხუცი ძალზე მოტეხა და გამოფეროხა მილიონ ადამიანების თავებიდან. უაბტრონოდ დარჩენილი მოხუცი ღამეს ათედა ღია და ცარიელ

თავებში. ამან ეიღვე მეტად უწყუ ხელი მის ავადმყოფს (ქარებიანი იყო დაავადებული) ლოგინად ჩავარდა. ავადმყოფი ღამინი ხშირად მოსთქავდა

დავრდომილი სწეული უწყუ რევიფი ცხტირი მარა ვენა, რა ვენა მოთხარა ვენა თქვენი ჳირსი

მომაკვდავს თავს ეხევილ რომის პაპი, გაკრეკულ - გავუტეკლო სამღვდლოვან. მიგვერე უშველს.

## გამოსვენება

დასავლეთებს დაესწრო მორწმუნეთა ლაშქარი. მოწინააღმდეგეთა ცეცხლს ებრძოდა, ხანათ თავიანი წარმომადგენელი. მაგ, ჯოჯოხეთის წარმომადგენლები მიცვალულის პატრისაგან დასწრე ორკესტრის უკრავდენ, ღირსირობდა თითონ ეშმაკი.

## გამოსათრვარი სიტყვები

შეწყდა შოპინის სამღვთიარი მარში და ტროიუნაზე გამოჩნდა რომის პაპი, რომეღმეც მიცვალულს შემდეგი სიტყვებით მიმართა:

— მეფეთა ზეცათა, ნუ იფიქრებ, რომ ჩვენ შენზე დაღმინებული ვართ. არა, სულს კვშირატებისაო, ვახტედ (მაგრამ ვაი, რომ აღარ შეგიძლია ვახტედა) ჩვენს ყოფილ ეკლესიებს მიწის ერთ მეტეხედზე, — ხალხმა სკოლებად და კლუბებად გადააკეთა. აჭაიქ დარჩენილ საყდრებში ორი სპი ბებრუხანა დღის. მალე ისინიც გამოყვებიან უქან და... და მოისპობა შენი ხსენება. მაგრამ შენი ხსენება უკვდავი დარჩება ჩვენში. ფიცს ვდებთ შენი სფუდის წინაშე, რომ ჩვენ აქტიურ

მონაწილეობას მივიღებთ მოხლოებულ ომში. იფიქრე შევიდა და ჯანმოთლად. იძინე უღარდელად. მშვიდობითი, ჩვენი საყვარელი მოხუცი! — ცრემლები გადმოვარა და მიცვალულს ეამბორა. მორწმუნებში გაისმა ჳითინი.

## ქამაძია

სამელოვიარი მარშისა და „ოდელა - დელა“-ს სიმღერის ტექსტს რულ 5 საათზე მოიდა კრემატია.

კრემაციის შემდეგ ხალხი ემყოფილი დაიშალა



# ლევარსი გამასახლისი

# ჭიჭი და ჭაჭუ

ლევარსის სამამასახლისოში ბევრი სოფელი შედიოდა.

ერთ სოფელში სკოლის გაკეთება წამოიწყეს. ყველაფერი მზად იყო, მაგრამ სოფელი ორად გაიყო—თუ სად აეგოთ სკოლის შენობა. ერთი ნაწილი, რომელიც ეკლესიასთან იყო ახლოს, ამბობდა:

— ცენტრი საყდართან უნდა დაიდგას!

მეორე ნაწილი, რომელიც ცაცხეთან იყო ახლოს გზის ჯვარედინზე, გაიძახოდა:

— ცენტრი აქ არის, სკოლის შენობაც აქ უნდა დაიდგას!

საქმე იქამდე ვართულობდა, რომ მაზრიდან ბოქაულო ამობრძანდა და ვისი ამალით.

ბოქაულომა დაათვალიერა ადგილმდებარეობა და ხალხს მიმართა ქართულად, მაგრამ რუსული გამოთქმითა და მარცვლებზე ხმის ამალღების დაცვით\*).

— თქვენ ქარგი ხალხი კომუნისტ, მაგრამ ტაგი ვაცეცხლებშლი გქონიათ. ჩხუბი სკოლას არ უნდა. ცენტრი სად არის, სკოლაც იქ უნდა!

და ლევარსის შეეკითხა, თუ სად იყო ცენტრი.

— საყდართან არის, ბატონო! — მიუგო ლევარსიმ.

— რა იცი?

— ა, ბატონო, ა!—და ლევარსი მიწაზე დაგორდა პირალმა, აქედან ცის თალი ისე ჩანს, რაეც ამ საყდრის გუმბათი. აქ ცენტრია არა მარტო ამ სოფლის, არამედ მთელი ქვეყნის. ამიტომ სკოლაც აქ უნდა აშენდეს! — და ლევარსი ზეზე წამოხტა.

ბოქაულომა ბევრი იცინა და ლევარსის მხარზე ხელი დაჰკრა.

— კოჩალ ლევარსი! მარტალი ხარ. აქ უნდა სკოლა. ესეც არ იკოს, აქ ეკლესია არის, ღმერთი, ქრისტე, ხატეი ახლოს არიან სკოლასთან და კმაცვილში უფრო ისცავლიან!

ასე გადაწყდა ცენტრის საკითხი. წასვლისას ბოქაულომა ლევარსის ხელი კიდევ ჩამოართვა.

ლევარსი სიხარულით ცას სწვდებოდა.

როცა სახლში დაბრუნდა, სულ იმაზე ფიქრობდა — როგორ ეთქვა ცოლისათვის ეს ამბავი.

ჭიჭი (პირალმა წევს. თავისთვის)

კანდიდატობას ელირსე ჭიჭი და შენს მიზანსაც უახლოვდები, აბა, მიბრძანე სხვა რაღა გიჭირს, — შენს ჭაჭუს გულში ჩაუგორდები.

ხუმრობ? პარტიის ხარ კანდიდატი, მალე იქნები შენ პარტიული, თუმცა ჭაპანში გახდი მელოტი შიშით კინალამ გაგისკდა გული...

გახსოვს უჯრედში როგორ შეძვერი, — შავი ნიღაბი ჩამოიფარე? —

ენაა შენთვის დღეს ყველაფერი

„ტკბილი ენითა“ მტერს ასმევ მწარეს გახსოვს გამოხველ ერთხელ კრებაზე. —

ორი საათი „გეკავა რეჩი“?

ერთი სიტყვაც კი ხარ თქვეი საგანზე თუმც თავს იჭერდი არა ვით „ლენჩი“,

უჯრედში იყავ ჯერ „თანამგრძნობი“,

გული კი სავსე ბოღმით დაგქონდა,

იყავ ყოჩალი შენ თვალთმაქცობით.

(აბა ხომ იცი, რწმენა არ გქონდა?)

ბევრს მოუქონე უჯრედში თავი,

თვით მღივანსაც კი ყოვლისა შემძლეს,

თქვეს: „ეგებ გახდეს ჩვენ შორის „ლღავი“

და შემდეგ მაგას ვინლა გაუძღვებს“...

და დაგამტკიცეს შენ კანდიდატათ

(ან რა კაცი ხარ, აბა, ვინ იცის?)

დღეიდან ჭაჭუ გილოცავს ხატათ

და შესრულდება აწ მისი ფიცი...

(შემოდის ჭაჭუ)

ჭაჭუ შენა ხარ, ჩემი ნუგეში?

მინდა გახარო: „ვარ კანდიდატი,

მომეცი ნება აწ შეხს უბეში

ჩამოგეკიდო ყელზე ვით ხატი.

შენი გულისთვის შევიჭერ ცეცხლში

და დაუწველად მგონი გადავრჩი,

ჭაჭუნა, იცი ვიყავ რა დღეში?

წარმოიდგინე ორფეხა მაჩვი.


კანდიდატობა აბა რა არის?

ჭაჭუ: — კანდიდატო? ჭიჭი რას ამბობ?

სამი წელია მაგას აკეთებ?

\*) ხმის ამალღება—შსხვილ ასო-ებზე.

# ოქტომბრელისა და ფაშიზელის ტურნირის



შეიბნენ ორი უძლიერესი ფა-  
ლაგანი —

**ოქტომბრელი და ფაშიზელი.**  
ოქტომბრელი თამაშობს თეთ-  
რებით.

ფაშიზელი — შავებით.  
პირველ სვლას აკეთებს ოქ-  
ტომბრელი.

წინააღმდეგ საჭადრაკო ტრა-  
დიციისა, ოქტომბრელმა დაავ-  
ლო ხელი თავის ბედაურ ცხენს  
და წინ გადმოახტუნა.

ჩაიციანა:

— აა! ეტყობა ჩემ პარტნიორს  
სრულებით არა სცოდნია საჭად-  
რაკო თეორია, თორემ ასეთ  
სვლას როგორ გააკეთებდა!

საპასუხოდ ფაშიზელმა პაიკი  
გამოაჩოჩა წინ.

ოქტომბრელმაც უკიდურეს  
მემარცხენე ფრთიდან ხელი წაჰ-  
კრა პატარა ბიჭ პაიკს და წინ გა-  
დაახტუნა.

ფაშიზელმა უფრო გულიანად  
გაღიხარხარა:

— გამჩენს ვფიცავარ—ეს არც  
მაკედონელის დებიუტია, არც  
ცეზარის, არც ნაპოლეონის, არც  
ფოშის! ეს რაღაც უცნაური დე-  
ბიუტია, რასაც პირდაპირი ხაზით  
მიჰყავს დამარცხებისაკენ.

აქ არეზე გამოუშვა თავისი ამ-  
პარტევანი დედოფალი, რომელ-  
მაც მედიდურად გადაჰხედა ოქ-

ტომბრელის ფრონტს თავიდან  
ბოლომდე.

დედოფლის ასეთ სუფრატის-  
ტულ ქცევაზე ოქტომბრელს მა-  
რთალია არ შეშინებია, მაგრამ  
დიდი სიფრთხილის გამოჩენა და-  
სჭირდა მაინც.

მან მიმართა ყველასათვის უც-  
ნობ მოსკოურ თავდაცვას, რაც  
ამავე დროს წარმოადგენდა ჩუმ  
იერიშს შერჩეულ მომენტისათ-  
ვის.

ფაშიზელმა ხელდახელ მოის-  
ურვა პარტნიორის დაბრიყვება  
და ბრძოლის ასპარეზზე ზედი-  
ზედ გამოუშვა იერიშით ცხენე-  
ბი, მხედრები. ფეხდა-ფეხ მოა-  
ყოლა წვრილფეხა ჯარიც.

საფრთხე მეტად სერიოზული  
შეიქნა. ოქტომბრელი ჩავარდა  
საგონებელში. მან გმირულ თავ-  
დაცვისათვის მობილიზაციაში  
გაიწვია ყველა თავისი ძალები.  
თავგანწირულ ბრძოლაში ჩაუ-  
რია თვით მეფეც.

შეიქნა დაუზოგავი ხოცვა-  
ჟლეტა: პაიკი პაიკს აკვდება,  
მხედარი — მხედარს, კოშკიც კო-  
შკზე ინგრევა.

ფაშიზელმა ბევრი ეშმაკური  
ხრიკიც გამოიყენა — ოქტომბრე-  
ლის ნემსკავზე წამოსაგებად. მა-  
გრამ ბუნებრივი ნიჭი ოქტომბ-  
რელისა უფრო ძლიერი გამოდ-

გა ვიდრე ვერაგული ხრიკები  
ფაშიზელისა.

მოულოდნელი და თავისებუ-  
რი სვლებით ოქტომბრელმა თავ-  
ვი დააღწია მოწინააღმდეგის იე-  
რიშებს და ეხლა თვითონ გადა-  
ვიდა შეტევაზე.

პაიკებისა და ფიგურების ულ-  
მობელ გაცვლა-გამოცვლაში აკი  
ოქტომბრელმა თვითონ დაუგო  
მახე თავგასულ პარტნიორს:

მხედართ რიხიანად შესძახა  
შაჰი და თანაც დაემუქრა მარ-  
ტოხელად დარჩენილ კოშკს. და-  
ემუქრა და იმსვერპლა კიდევც.  
ამგვარად ოქტომბრელმა მოი-  
გო ხარისხი.

ეხლა უკვე ფაშიზელი ჩავა-  
რდა საგონებელში. და განა მარ-  
ტო საგონებელში? ლამის ცაიტ-  
ნოტშიც ჩავარდეს. მას აღარა აქვს  
პარტიის მოგების იმედი. ამიტომ  
ბევრი ფიქრის შემდეგ ყაიმი შე-  
სთავაზა თავის პარტნიორს.

მაგრამ ოქტომბრელი არავი-  
თარ დათმობაზე არ მიდის.

— მე მწამს ან გამარჯვება ან  
დამარცხება! განვაგრძოთ თამაში  
ბოლომდისო!

ფაშიზელს მეტი ჩარა აღარა  
აქვს: ან უნდა დანებდეს ან განა-  
გრძნოს თამაში, რომ ბოლოს  
ისევ დამარცხებით გათავდეს.

ფაშიზელი თამაშობს უგუ-  
ნებით, უხალისოდ. ის აღარა  
ფიქრობს თავხარდამცემ იერი-  
შებზე. მხოლოდ თავდაცვით უნ-  
და გაახანგრძლიოს ყოველგვარ  
იმედს მოკლებული თამაში.

ოქტომბრელი ჰხედავს პარტ-  
ნიორის სულთ დაცემას და ამით  
გათამამებული გადადის უფრო  
დაუნდობარ იერიშებზე.

შე-16-ე სვლის (თუ წლის?  
შენიშვნა ასოთამწყობისა) შემ-  
დეგ პატარა გადაიღო ფაშიზე-  
ლისათვის უიმედო მდგომარეო-  
ბაში.

**ჭიჭი:** — მაღალო ღმერთო შენ ხარ მოწყალე!

რა ვქნა ჭაჭუნა, მითხარი მალე?

**ჭაჭუ:** — რა და... მსურს გნახო პარტიის წევრად...

მაშინ კი... ცოლად წაგყვები ხელად!..

**ჭიჭი:** — საკანდიდატო სტაჟი რომ არ აქვს

შენს ჭიჭიკოსა უთხარი რა ქნას?

**ჭაჭუ:** — რაო, მე მკითხავ ჭიჭიმ რა ქნასო?

**ჭიჭი:** — ნუ მიჯავრდები ჩემო ძვირფასო!

მე... მე მზადა ვარ შენთვის ვიწვალო

ოღონდ კი... (უნდა გადაეხვიოს)

**ჭაჭუ (განზე გადგება):**

— ჭიჭი, ჯერ უნდა გამოიცვალო!

**ჭიჭი:** — ჭაჭუ, მითხარი სანამ ვიწვალო?

**ჭაჭუ:** — ????

ს. ე-ლი.

# აკოლონის მოლოდინი

# ახლა ჩოგელი უფრო იღარღოს

დარჩენილი მენშევიკი აპოლონი ოქტომბერს შეხვდა იჭვის თვალით და თავი დააიშედა:

— მართალია ბატონო დავძირცხდით, მაგრამ ეს დროებითია, ერთი კვირის შემდეგ ისევ ხელისუფლება ჩვენ ხელში იქნება.

გავიდა ერთი კვირა, ჩვენებური ერთი დეკადა, ორი დეკადა, კვარტალის მესამედი, კვარტალის ნახევარი, გავიდა ერთი კვარტალიც.

— სად არიან მენშევიკები? — ეკითხება ერთ-ერთი „უპარტიო“ აპოლონს. აპოლონი უპასუხებს:

— ჯერ საფრანგეთს არ სცალია თურმე, რომ გემები და ჯარი გვათხოვოს; თურმე იგენსაც ეშინია კომუნისტების, მაგრამ მენშევიკი აპოლონი მაინც ამტკიცებს, რომ 6 თვეში მენშევიკები მოვლენ.

— ამხანაგო აპოლონ, გავიდა 6 თვე, სად არიან თქვენები?

— რა ვიცი, ჯანდაბას მათი გზები, მე სხვები მატყუილებენ და მე კი შენ გატყუილებ.

გავიდა ერთი წელი. საბჭოთა ქვეყნის მუშათა კლასმა იღვსასწაულა ოქტომბრის ერთი წლის თავი, შემდეგ — ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ათი და მივედით მე-16-ე ოქტომბრამდე.

ამ ხანებში მენშევიკი აპოლონი გახდა დიდი მშენებლობის მხახველი, მაგრამ აპოლონს მაინც არ სჯერა ამ მშენებლობის და გაიძახის:

— გვატყუილებენ, ბატონო, გვატყუილებენ, კომუნისტებს არაფერი დაეჯერება!

მენშევიკები კიდევ არ სჩანან. სად არიან აპოლონჯან მენშევიკები?

1. ის გენერალი იყო ამაყი მეფის ჯალათი, ერთგული მონა, დაღვრილი ქონდა მუშების სისხლი მტტი თუ არა თავისი წონა...

2. დღეს ხანძარში აქვს მას შენახული ჩინი-მენდლები თანაც მუნდირი ეხლა ქუჩებში ყიდის პაპიროსს „სავეცი“, „რეკორდ“—იგი გაყვირის, ხშირად შეხვდება მას მეგობარი და გაჩაღდება მსჯელობა ჩუმი: —ხედავ ძამიავ, წაგვიხდა მადა და გავიჩინდება მგონია მუნი, —ხედავ თქვენმეტი შესრულდა წელი დახია გული, დახია სული,


წავალ აქედან, მაგრამ როგორღა! არ გამაჩნია სამგზავრო ფული...

3. დღისით ის ყიდდა მთელ დღეს პაპიროსს თვალს ადევნებდა დემონსტრაციას, მაგრამ, როდესაც იგრძნო სიცივე დემონსტრაციას ზურგი ატკია. მივიდა სახლთან ოთახის კარზე დახვდა გაცოფული რამე უწყება, მასში კითხულობს სასტიკ განაჩენს და მას აქედან წასვლა უხდება. „ათ დღეში“ არის თქმული ფურცელზე „დასტოვებთ ტფილისს და მის მიღამოს“ გულზე მოუვა ყოფილ განტარლს, ესლა, რომელი უფრო იღარღოს.

გელა-გერღია.

# სამინახული შაშა

ნახ. მარიაშხ.



— მაშაილო, მე სკოლაში ოქტომბრელს მეძახიან!  
— არ დაუჯერო, შვლო, შენ მარტში ხარ დაბადებული.

# მოდრი, ნახე!

ბიქსტი მედღეასა

## არ გაუშვით!

შემჩნეულია, რომ პასპორტი ზაციასთან დაკავშირებით ზოგიერთი ყოფილი ხალხის მეპატრონე და სპეკულიანტი ქალები და მათი ქალიშვილები, ბინის შენარჩუნების მიზნით, განგებ ქორწინდებიან. რომ „ჩასიძებულის“ დახმარებით თავიდან აიცილონ პასპორტის მიუღებლობასთან დაკავშირებული „მოსალოდნელი უსიამოვნება“.

რ.კ.კ.კ.



კონტა ბინა  
ვისაც უნდა,  
ვეუბნები სიმართლეს  
დედა ჩემი გულით ეძებს  
სიძეს—თვალის სინათლის  
მომამუშრეთ ქაბუკებო  
საქმეს უნდა მიგნება  
ჩემი გული, ჩემი ბინა  
ორივ თქვენი იქნება  
ერთი სიტყვით მუქთი ბინა  
თუ ვსურთ, ვამბობ სიმართლეს!—  
მოდით!—დედა  
გულით ეძებს  
სიძეს თვალის სინათლეს.

## გზა მომავლით

ზოგიერთი მოფერები ხშირად ხელს უწყობენ საზოგადოებრივ საკუთრების დატაცებას და ხანდახან კი ასეთ საქმეში აქტიურ მონაწილეობასაც, (ან უკეთ რომ ვთქვათ დატაცებულის ნაწილსაც) იღებენ.



ძველი ვარ და გამოცდილი  
ავტო მიმყავს ისე  
დამხედება, რომ წინ ვინაც  
წავაწყვეტავ კისერს.  
ჩამოდექით! განი! განი!  
გზა მომექით! მეშვით  
ათას მანათს გავაკეთებ  
ამ „გაქაფულ“ შეშით!

## ასე უხიჯალა!

კოლექტივში შეპარვას ახერხებენ ზარმაცები და მუქთახორები, რომლებიც გარდა ფუქსავატობის და დეზორგანიზატორულ „მუშაობისა“ არაფერს არ აკეთებენ. ეს კულაკების აგენტები მათგან მიღებული მოსავლის სიმცირეს კოლექტივს აბრალებენ.



ასე „უხიჯალა“ ატარებდნენ  
ზოცა-დღეებს გმირები  
და „ბუს კვერცხი რომ მიიოს“—  
რაა ვასაკვირები?!

## ლიღინი

ფოსტის მთავარ კანტორასთან (პლენხანოვის პროსპექტზე) არსებობს მუშათა დახურული სასადილო მისი მზარეული და სასადილოს გამგე სადილის მიწოდებაზე ხშირად მუშებს უარს ეუბნება და „დიდ ხალხს“ კი აკმაყოფილებს. არის შემთხვევა, როდესაც სამზარეულოს დახურულ ნაწილში „პარტიტული“ ქეიფი იმართება.

## იჩაუსრი



მე გახლავარ მზარეული  
რასაც მინდა,—ვიზამ  
დიდკაცებს რომ პატყესა ვცემ,—  
იმიტომ მაქვს ვიხა!

## ნახატები დონის

თბ. ორთქლმავლების სარემონტო ქარბ. მუშათა მომარაგების განყოფ. გაფლანგულია 93001 მანეთი.



— რაო?! ზომებიო?!—იურისტკონსულტს უკვე ვაცნობე და სხვა ზომებზე თუ ვინმე გაბედა რამე—სულუველას დედას ვუთბრებ!

## გაბუაჩი და ოქტომბერი

მყავს ბაბუა, მოხუცი,  
რვად მოხრილი წელშია,  
მოსხენებას ვუკეთებ  
ოცდაშვიდჯერ დღეშია.  
ვეუბნები: — შეიგნე,  
რომ დრო გამოიცვალა,  
კულაკების სოფელი  
მოკვდა, ფერი იცვალა.  
ოქტომბერმა გახვია  
იგი წითელ ფერშია —  
და დღეს შენი მიწები  
კოლექტივის ხელშია!..  
მიპასუხებს: — „რას ბოდავ!  
შენთვის ეგდე სახლშია,  
თორემ თოხს გამომტყუებ  
მეტრირა თავშია“...  
ძველ ამბებზე დაიწყებს  
წამიკითხავს ლექციებს,  
წინ დამიყრის ძველ ფულებს  
და დროგასულ ვექსილებს.  
კვლავ ძველი დრო დადგება  
ფიქრობს, ასე ჰგონია,  
ამ ფიქრში ჩამოაღნა  
რაც კი ჰქონდა ქონია...  
აიჩიია ასეთი  
„სამუშაო“ ძნელია...  
„გაიხაროს“, იმედიც  
კარგი საქონელია.

სატანა

# ნიანგის საკბილო

## სოფ. ზემო-ხვედურეთი

„სოფელ ზემო-ხვედურეთის (სტალინის რაიონი) კოლმეურნეობის თავმჯდომარემ კოლია ხადუნაშვილმა ღარიბ გლენს კოტე ჯაბაშვილს წაართვა ღორი, ვითომ-და გადასახადის გდაუხდებლობის გამო.“

მირბის, მიაფრენს თავმჯდომარეს კოწიის ღორი,




დიდი მინდვრები გადალახა განვლო გზა შორი!  
უახლოვდება უკვე ადგილს საბედისწეროს,  
სადაც დაკლავენ უბედურსა მსხვერპლს „უმნიშვნელოს“  
რომ თავმჯდომარე მისი მწვადით გამოიბეროს!

### ჩხარბი

„ჩხარის რაიონსაკომის თანამშრომელმა ვალ. ნემსიფერაძემ გასასყიდათ წაიყვანა აღმასკომის ცხენი ღირებული 3,000 მანეთად და განაცხადა, ვითომ ცხენი მას დაეკარგა, რისთვისაც უარს აცხადებს ზარალის ანაზღაურებაზე.“

ქო.ჩო.რა.

ცხენზე შეჯდა ცხენით მიდის ბაზრისაკენ ვალია, ცხენს ვაჰყიდის



ფულს იჯიბებს უხარია ძალიან.  
აღმასკომსა ასე ეტყვის:  
ეს რა ჩემი ბრალია,

ჭურღმა ცხენი მოიპარა,  
არ სჩანს მისი კვალია!  
**გურჯაანი**

„გურჯაანის რაიონულ სასამართლოს გამოძიებული მიხ. ანტონოვი ხელი მიჰყო რასპუტინობას, რის გამოც მან ერთ-ერთ მანდილოსანისაგან მაგარი სილაც იშენია, ნაცვლად ხოშის მოკვლისა.“

უ.ლი.

რასპუტინი ყოფილა შეხეთ ერთი ამას, მიშა „გამომძიებელსა“ დარდიმანდს და თამამს!



„კაბინეთში“ ჩაუკეტავს ერთი ზორბა დამა, მაგრამ ცუდათ ჩაუვლია მშრალზე დარჩენილა, ქალისაგან მიუღია მას მაგარი სილა!

### სიქთარვა

„სოფ. სიქთარვაში (ჩხარის რაიონი) სასოფლო საბჭოს არა აქვს შესაფერი ბირა. ერთ ოთახშია მოთავსებული თვით საბჭო, კომუჯარედი და სხა.“

ბაბი.




თავმჯდომარე ვარგებულა უნარიცა ქონია,  
„კოლექტიურ მუშაობის“ ხერხი მოუგონია!

## ტყიპული

„ტყიპულის შკოლის მასწავლებელი ანესტი ანდრიადი მოწაფეებს ქრთამს ართმევს, ზოგს ფულად 100 მანეთობით, ზოგსაც ნატურით, როგორც არის: რძე, ყველი და სხვ., რის შემდეგ მათ კარგ ნიშნებს უწეოს.“

### პარინზალი.

ნურაფერს კადრებთ ანესტის ქონია კარგი მადლო, ამითი ცუდი რა გიყოთ თუ ჭამას მოუმატაო,



ქრთამად თუ ბლომად მიიღო ყველი, ქათამი, კვატო, მოწაფეებს ხომ უშველა ხომ დაეხმარა მათაო, და ამ ქრთამისათვის ნიშნები გულუშვად მიუმატაო!

სადილის საჭმელად ასე დაჯდა, რომ ხელი არ დაუბანია.

— ცოლი შემეკითხება რატომ არ იბან ხელსო და მაშინ ვეტყვი. მაგრამ ცოლს ეს არც კი შეუძრ-ლევარსი ცდილობდა, რომ ხელის ჩამორთმევის ამბავი რაღაც ამბავზე გადაეხა ცოლთან საუბრის დროს. მაგრამ ცოლს ეს არ შეუძრწევია. ვერ ახერხებდა.

შეატყო, რომ ამბავი უთქმელი რჩებოდა. ყელამდე გამძღარს აღარ უნდოდა მეტი საჭმელი, მაგრამ ცოლს მაინც უთხრა:

— იმის არ იყოს, დღეს „ვეზღი ნაჩანიკა“ ხელი ჩამომართვა, ერთი კოვზი ლობიო კიდევ დამისხი ამ საინზე! — და ცოლს თეფში გაუწოდა.

ლევარსის ეგონა, რომ ელუკი დაინტერესდებოდა ამ ამბით და ყველაფერს გამოჰკითხავდა, მაგრამ ელუკიმ პირიქით შეუტყია:

— რა ვეშაბი ჩავიწვა მაგ მუცე-ლში, რომ არ იქნა შენი გაძლომა! — და ერთი კოვზის მაგიერ, სულ გაუვსო თეფში. — საინზე ლობიო არ დატოვო, კარგად მოწმინდე, მო-რეცხვის თავი არა მაქვს! — გააფ-რთხილა ლევარსი ცოლმა.

ლევარსიმ პირნათლად შეასრულა ელუკის ბრძანება. **ჯეშკი.**

# ნიანგოსანი

მე ნიანგი ხელობითა ვიქმ იუმორს ამაღარი.  
 მე მმორჩილობს ნიანგკორთა უამრავი სპა-ლაშქარი.  
 მტრისთვის თუ ვარ რისხვა-მეხი, მოყვრისათვის ვარ შაქარი  
 რასაც ეძებთ, მკითხველებო, ყოველივე ჰა, აქ არი.

ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოცდის დიდი რბევა...  
 ისე ჩვენი ხელისმომწერს არ დაუწყოს ფულმა ლევა,  
 რომ ჟურნალი გაიწეროს, არ გაუშვას ეს შემთხვევა,  
 ვინც „ნიანგს“ არ გამოიწერს, სევდა გულზე დაემჩნევა.

მას მკითხველი არა ჰქვია ვინც იყიდა ერთი ორი,  
 თავი თვისი ნუ ჰგონია ხელმომწერთა თანასწორი,  
 ვინც იყიდა ერთი-ორი „ნიანგი“-დან არის შორი.  
 ვეუბნებით, არ ყიდულობს და ჯიუტობს ვითა ჯორი.

არის სოფელსა ყოველსა ქობ-სამკითხველო, სკოლაო,  
 „წითელი-კუთხე (სიბნელეს გამოუცხადა ბრძოლაო).  
 სჭირიათ ჟურნალ-გაზეთი, მათი მასებში სროლაო.  
 არ არგებს საქმეს საერთოს ძილი და მხარზე წოლაო.

ჰუმორისტული ჟურნალი იმათი დამამშვენია.  
 ვისაც არა აქვს ასეთი ნუ თუ მას არა რცხვენია.  
 სამკითხველოში უმისოდ ყოფნა, ვა, მოსაწყენია,  
 ყოველგან იყო ამიერ ესე ჟურნალი ჩვენია.

სახელი მისი „ნიანგი“ ყველასთვის საცოდნარია.  
 საუკეთესო ძალები თანამშრომლებად არიან.  
 რა გაიზარდა, გაივსო სხვა მისგან საწუნარია.  
 გამოიწერეთ სუყველამ ვისაც გაქვთ შნო-უნარია.

ნიანგეთს გასცა ბრჩენება ნიანგმა დიდმა მფლობელმან:  
 — „ნიანგი“ გამოიწერეთ გიბრძანეთ მისგან მშობელმან.  
 მან გაგანათლონ ყოველნი, ვით მზემან მანათობელმან.  
 მოღით და გამოიწერეთ ყოველმან შემამკობელმან.

ჩემი აწ სცანით ყოველმან, მას ვაქებ ვინცა მიქია.  
 ხელისმომწერის ღროს ვისაც თავი არ გაუქიქია.  
 სადაც კი მიდის „ნიანგი“ ოჯახში არის იქ ია,  
 ვინც იწერს სისტემატიურად კარგი მკითხველი იგია.

ნიანგი.

# მ რ დ რ ი

**ეპიტხის** (ბოსლევ, ზესტ. რაი-  
 ონი) იწერებოთ:  
**ყვირლები გაიფიცენ**  
 აღარ დებუნ კვერცხებსაო, (!)  
 რადგან საყვებს არ აძლევენ  
 იმ უბედურებს ზაფხულშიო;

ფიქრი ნუ გაქვთ: მართალია  
 ყვირლების კვერცხი ჯერ არავის  
 უნახავს, მაგრამ როგორც კი ყვირი-  
 ლები თქვენ ლექსს წაიკითხავენ,  
 კვერცხებს მაშინვე დადებენ.

აუწყის (დუშეთი) ლექსი თქვენი  
 რედაქტორის შესახებ, არ დაიბეჭ-  
 დება, რადგან არ ახლავს საქირო  
 განმარტება, მოგეწონება სხვა მა-  
 სალები შესაფერი განმარტებით.

იაკობს (აქვე) თქვენი დაუწყების  
 თანახმად, ვბეჭდავთ საუკეთესო ად-  
 გილს თქვენი ლექსიდან:

ბადეს ვისვრი მდვრიე წყალში.  
 მინდა თევზი დაფიქრო,  
 ბადე არის დახვერტილი  
 წვალება არის საქირო  
 მაინც არა მაქვს იმედი  
 რადგან არის სხვის საკბილო  
 თევზი არის ღონიერი  
 აქვს უმაგრესი იავშირი

თუ იმ თევზების „კავშირი“ ისე-  
 თი „მადლო“ ხარისხისაა, როგორც  
 თქვენი „პოეტური თქმა“, მაშინ სა-  
 ქმე დალუპულია.

**ვალისა** სასილამოულობა

**ლანჩუთი.** ქალაქის საბჭომ სი-  
 სუფთავის დაცვის მიზნით ბაზარში  
 გაამრავლა ღორების ჯოგი. ღორე-  
 ბი პირნათლად ასრულებენ საკოლ-  
 მეურნეო ბაზრის გაწმენდას სხვა-  
 დასხვა საწოვავისაგან.

— რაიბრეშუმის თანამშრომლებს  
 შორის გამეფებულმა შეჯიბრებამ  
 ჯერ - ჯერობით ყლაპი უყო 6000  
 მანეთამდე სახაზინო თანხას, შეჯი-  
 ბრება გრძელდება. შეჯიბრებაში  
 პირველობის მიმღები ამ დღეებში  
 გამოქვეყნდება.

მარტინა.

## ცული სანი

**ცხემლისხიდი.** კოოპერატივის ზო  
 გიერთ ნოქარს დასწემდა „ხელის  
 კანკალი“, რაიც საგრძნობ ვავლე-  
 ნას. ახლენს ნაყიდ საქონლის წონაზე  
 — მყიდველის საზარალოდ. საქიროა  
 საექიმო დახმარება.

— კოოპ. სახორცე დუქნის გამ-  
 გემ დიდი ნიჭი გამოიჩინა ხორცის  
 ფასის გადიდებაში, რისთვისაც მო-  
 სალოდნელია მისი რეინის ცოცხით  
 დაჯილდოება.

ხიდალი.

## სამგლოვიარო განცხადება

**ს. შალაროს-კარი.** (დუშეთის რაი-  
 ონი) შალაროს - კარის მსსწავლებ  
 ლობა მწუხაბეთ იუწყება მათდა-  
 ში კუთვნილ ორი თვის ნორმა პუ-  
 რის ფქვილის სამუდამოდ დაკარგ-  
 ვის შესახებ. პურის ფქვილის დაკ-  
 რძალვა მოხდა კოოპერატივის თა-  
 ნამშრომლების ოჯახებში.

ბრ.—ოლი.

## „დამკვეთი“

**სოფ. დიდი-გეზათი.** (აბაშის რაი-  
 ონი) კოოპ. ნოქარმა ვერიკომ თა-  
 ვი დამკვერელად გამოაცხადა სხვა-  
 დასხვა საქონლის თავის ძმა-ბიჭები-  
 სათვის მიცემის საქმეში. ვერიკო  
 გეგმას გადაჭარბებით ასრულებს.

გეზათელი.

## „ტამაზები“

**ოზურგეთი.** მოხდა შოფერების  
 კრება, რომელმაც დაადგინა. რათა  
 გაძლიერებულ იქნეს უბედურ შემ-  
 თხვევათა ტემპები. ის შოფერი, რომ  
 მელიც დღეში ერთხელ მაინც ვერ  
 მოახდენს უბედურ შემთხვევას —  
 გაირიცხება კავშირიდან. დადგინი-  
 ლებას პირნათლად ასრულებს შო-  
 ფერი ტიშინსკი.



აიხსტანას აღვილალ ავანთებ და კრდევ ჩვაპრობ!